



პაპუნა ქვარიანი

ნაწიგობები



პაპუნა ქვარიანი

ნაწიგნი

თბილისი
2016

**პაპუნა ქვარიანი: ნარგიზები
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2016. გვ 160.**

პაპუნა ქვარიანი ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრია. ეს მისი მეექვსე პოეტური კრებულია, რომელიც ავტორის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა. წიგნში შესული ლექსების უმეტესი ნაწილი 2014-2015 წლებში დაიწერა. მათში ნათლად ჩანს პოეტის პროფესიონალიზმი და ოსტატობა.

კრებულის პირველი ნაწილი ავტორმა „ნარგიზები“-თ დაასათაურა, ხოლო მეორე – „ქვარიანული“-თ, სადაც მწერალმა ფართო სპექტრით წარმოაჩინა განსაკუთრებული ხელწერა და ორიგინალური ჰარმონია.

რედაქტორი: თინა ასათიანი

ტიქნიკური

რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

© ივერიონი

© პაპუნა ქვარიანი

ISBN -978-9941-0-8439-3

სერტიფიკატი



ჰერ ვიადვილე

თითქოს ქრებიან, ო, ის წამები,
მაგრამ რას ვერჩი იმ მონატრებას,
რომლის ხლართებში ისე გავები,
ვით გაებლანდა ცხადს მოლანდება.

იმ უიშვიათ გრიგალის გრგვინვის
ვერ ვიადვილე თავის დაღწევა,
უკმარისობის სირენა წივის,
მოვისაკლისე კვნესა საშველად!

რად უნდა

პოეტს რად უნდა ქება,
ანდა რად უნდა ტაში?...
იგი ხომ სულებს კვებავს,
მას ხომ იხმობენ ცაში.

ის ხომ შეება ვარამს,
ვარსკვლავს აელვებს ხმაში...
ეჰ, მიჩანჩალებს ფარა,
მიიზღაზნება რაშიც.



რადგან

რადგან ვიწვნიე ურვა მრავალი,
დაუდგრომელი ერის შვილი ვარ,
დღეს, თავთუხი ვარ დაუმარცვლავი
და გულის პარკუჭს ბინდით ვიწრდილავ.
ხვალ კი ჩამფარცხავს დროის დინება,
ჩაილადრება ცრემლების ხვატი...
ეჰ, სანამ სხივი ამობრწყინდება
გოლგოთის თხემზე ყინავს და ბარდნის.

ნარპოზი

მზეო თვალხატულო,
სულში ჩაქარგულო,
აზრო ჩასახულო,
ფრენად დარახტულო!
ჩემში მოშრიალე,
ხეო მსხმოიარე,
რა არ მოვიარე,
ნისლი მოვიალე!
თვალეებს დავემონე,
მოვრწყე ნარგიზები,
თუ არ ჩაგეკონე,
მართლა გავგიჟდები!

ბრმა არჩევანი

გატრუნულია რადგან საუფლო,
ეს ჟამი ნატრობს ყივჩაღის ყიჟინს...
როგორ გავტოკდე, საით გავქუსლო,
ბრმა არჩევანის შეგრძნება მიჭირს.

ჩამეწყრილია სულის სანგარი
და ნამეხარი ბერმუხა იწვის...
მაინც ავლესე იატაგანი,
მაინც ვაკვნესე ზარები ყინწვისს.

ვიხმე ყივჩაღი რიკოთის თხემზე,
იმ ბაზალეთის ჩაქოლვა მინდა...
მამულიშვილო, წამოდექ ფეხზე
და უსაყდრისე ასახდენ სიზმარს!

ფსიქოლოგია

ო, ამ ჩაკეტილ სივრცეს,
როგორ ვიფერებ იცი?
გული ზარით მიცემს,
უხშირა თვალმა ციმციმს.

ო, ეს რარიგად დაძრწის
თავისუფლების მახრა,
უხერხულობა მაწვიმს,
მცეცქევავს სიახლის ნახვა.

შინაგანობა მხუთავს,
დღე შეაცბუნა დელგამამ.
ეჰ, ბოლო - ბოლო უნდა
გავითავისო ელვა.

პირ აპოტაცა

ო, ეს წარბები ისევ დახარე,
ისევ ნალვლიან მორევში ფეთქავ,
ვერ ითავისებ ნაბიჯს სახვალეს,
გულს გიფრიალებს ტალღების ხეთქვა.

ვერ აფარფატე ადვილად ფრთები,
ვერ აგიტაცა იმ შთაგონებამ.
ო, ეს წამწამი, ეს საფერები,
ცრემლის ნიაღვრის ფესვს ეკონება.

უკვე მრავალჯერ ჩაგხედე გულში,
ბევრჯერ გამაწან უტყვი ზმანება,
ბუნებრივია, რომ იყო ურჩი,
ოლონდ შეეწყო თან შებრალებას.

არ ველოდები რამე წყალობას,
არ მიხმობს ალი გახსნილ საკინძის...
მზის კვართს შეერწყა სიმწრის გალობა,
დაგვის წკვარამის წეწკვას განვიცდი.

მრმხრო30 უშხ0

როცა ორმხრივი ეშხით იწყება,
ვნების ტალღების აბობოქრება,
მძლავრობს უებრო თავდავიწყება
და მოსახდენიც ციმ - ციმ მოხდება.

ყველაფერ ამას, თან თუ დაერთო
კმაყოფილების განცდა უშრეტი,
ყოფიერების შავბნელ სამეფოს,
შეაციაგებს არსის უჯრედი.

ეჰ, მაგრამ დროის პილწი ღვარცოფი,
მანც დამეწყრავს ზღაპრულ ბაღნარებს,
გაბაცდა ფერი მსუყე ნაყოფის
და ავზნიანი ქაჯი ხარხარებს.

ოსკ

როგორ გაცრეცილან, სივრცეს ეცლებიან
ქარის ახვეტილი ლანდთა ანათემა...
სადაც გავიხედე - ეშმას ფესვებია,
მწუხრმა შენი სუნთქვა თავზე დამათენა.

ძლივსლა შევიგრძენი ანცი სხივის მადლი,
ცვარი ამოწვერილ იას ეალერსა...
ისევ ზამთარია, ისევ თოვს და ბარდნის,
ისევ გამიფრინდი კეკლუც ზეა სვეტად!

ღრთა

მამა უფალმა გადმოხედა
დღეს მთელ დუნიას...
წმინდანის შუბი ამოქმედდა,
ს ა ს წ ა უ ლ ი ა!

ზე აღვიმართე სამსხვერპლოზე,
განაწამები...
კვლავ აგუგუნდა სამრეკლოზე
ივერთ ზარები!

ფარფატეზს

ვერ ვმოგზაურობთ რადგან ერთ დროში,
ეშმამ ჩამავლო ხელი ქეჩოში.
ჟამი ფარფატებს, როგორც პეპელა,
გაუცხოვებას სუნთქვა ეძნელა.

არ მიფიქრია რამე აუგი,
წვეთავს მირონი ამ სიჩაუქის.
ნისლში გაჭირდა ჯვარცმის შეგრძნება,
განტევებასაც ფერი ეცვლება.

რადგან შეყოვნდა ხილვა უფლისა,
დავაჩორიკებ ტაიჭს უღირსად.
გულგასენილი უხმოდ ვტირივარ,
გადავეპკურე ნამად გვირილას.

სანამ უნდა

მარტოსულო, მარტოსულო,
სანამ უნდა წეწო ბამბა,
სანამ უნდა იმარხულო,
ცრემლითა რწყავ გრძნობის ნაპრალს.

დროა, უნდა ითავისო
სიახლეთა მუხტის ძალა,
კოშმარები ჩაივლისო,
შემოქმედმა ასე ბრძანა!

რაც ისედაც ფარულია,
რაც არს გულში ჩამარხული,
მას წამები დაუთვლია,
ითავისე არნახული!

მიტოვებული ტაძარი

მიტოვებული ტაძრის კარს ვაღებ,
ობობას ქსელი წინ მებლანდება,
ჩამოსდით ცრემლი დაღარულ თაღებს
გაქუფრებულა ფრესკის ხატება.

იაგარქმნილა კარის თალარი,
ქვევრიც ლოდებით ამოგმანულა.
უხსენებელი, სულშემზარავი
აბლაბუდებში ხოხავს ფარულად.

ფრთხილად ავყევი დანგრეულ კიბეს,
გუმბათზე ნანატრ ზარს ვახმიანებ...
სულის ზეობა სწვდება ცის კიდეს,
ტაძარი უხმობს ადამიანებს!

ღვთიური წვლილი

ისე ცქრიალებდა თეთრი ანგელოზი,
 ფრთებით ასხივებდა არმაზს ჩუქურთმიანს...
 – ველარ დატკბებაო ჩვენზე სარკინოზი,
 ჰეი! მოქიშპენიც დროშებს უკუ ხრიან.
 დროზე ვითავისეთ ჯვარის სასწაული,
 ნინომ მშიერ გულზე ცვარით იმარხულა.
 მადლი გვიფარავდა ღვთიურ საწყაულის,
 მთაში მონადირე სჭექდა მირანგულას.
 ხშირად იგრილა ღუშმანთ აზვირთებამ,
 ბევრჯერ აგვიცრემლეს მოყმე თუ დიაცო,
 ქართველს არ სჩვევია ისე განივთება,
 რომ არ ასულდგმულოს გენის ხვაშიადი;
 რომ არ შეუღეწოს მკერდი მოძალადეს,
 რომ არ აგვირისტოს ხვალის ჭირნახული,
 რომ არ ეთაყვანოს უფალს მოამაგეს,
 რომ არ შემოსძახოს ჰანგი ცისმაყრული.
 ასე მარქაფულად კვლავაც მედგრად ვივლით,
 ისევ ვუკუვაგდებთ გრიგალს აუგიანს,
 წმინდა მარიამის კუთვნილ ღვთიურ წვლილით,
 ჩვენი მომავლის ბარტყს ფრთები აუსხია!

რადგან უნესო

ვინ ჩაქცეულა, ვინ დაქცეულა,
ვინ დააბოტებს ნაბიჯს ეულად,
ვინ შეატოკებს რულეტს შვეულად,
ვის ჩაეძინა კვლავ ზეზეულად!

ეჰ, როგორ მთათხავს ჭოტი დილიდან,
ვინ გამიღიმა ასე ირიბად,
რომ უნებლიედ გულში ვტირივარ,
ვერ გამოვძვერი ღამის ჩრდილიდან!

შენი ჩასუნთქვის მადლი მაფხიზლებს,
გასწორებია ლულა სამიზნეს;
რადგან შეეხო თათი საკინძეს
ვნების წიაღი ბუნდლას აიღენს!

რით უყვამკო

დამეხვია გულზე დარდი,
ირგელივ ჯმუხი ტრამალია...
აცრემლებულ სტრიქონს ვბარდნი,
მომაგებე ფრთამალია.

დღეს თუ ვარდი ვერ დაგკრიფე,
რით შევამკო ზღაპარია ...
თუ კელაპტრად სულს ამინთებ,
რას დამაკლებს მტარვალია.

ვერ ვაკვნესე სალამური,
როცა ნირი წამხდარია...
რომ წამკიდე ეს აღმური,
შენ ხარ ამის წამალია!

ჰონას

დიას, მომწყურდი, უნდა გეახლო,
უნდა ავწიწკნო ვნების სიმები,
უნდა ვემსგაბსო იმ ტლუ მიზანთრობს,
ვინც ჩააქსოვა ფოთოლს იმედი.

ვინც აიძურწა სანთლის წინაშე,
ვინაც შეიგრძნო სუნთქვა მყოფადის...
პატივს კი მაინც იმას მივაგებ,
ვინც გაინაბა საწყის ცოდვამდი.

რისხვა

თუ აირია მწყობრი სისტემა,
გარდუვალა ნიღბების ცვენა,
გარეგნულ სახის ფორმის ცვლილება
ააწიწმატებს ბულბულის სტვენას...

ბნელეთის რისხვა ისე დათრგუნავს
და ააშფოთებს ცოდვილ ათასებს,
ობდება აზრი, გაჭირდა სუნთქვა,
ბული გარემოს გადააფასებს.

რად ვყარო

არ მწამს მხილველთა დასი,
რომელთა სჭარბობს განკითხვა,
თითქოს გასტეხეს ნავსი
გაუცხოვებულ საკითხთა.

საჭირბოროტო არსი
არ შეიცვლება ადვილად,
გაქსუებულთა ფარსი
ჭეშმარიტებამ ჩაცხრილა.

ვიახლოვებ და ველტვი
ალალმართალთა გულისთქმას,
კედელს რად ვყარო ცერცვი,
მოხნულს მივიჩნევ უფლისად!

ოსე უეშპრა

ისე უემძრა შენმა ეშხმა,
ისე ამათავთუხა,
ლამის ვიწყო ფრთების შესხმა,
მთვარე მივლო სასთუმლად.

როს ვარსკვლავმა ამიწითლა
კანის ფერთა ციაგი,
შენი ლანდი ამიბრწყინდა,
შეაცბუნა მირაჟი.

ქედმოხრილი შევციცინებ
სამადლობელ ჯიხვის რქას...
გულს მაინც ვერ დავიმშვიდებ,
თუ არ გსახე თილისმად!

შინაობა

ო, ეს ჩემი ანგელოზი
ხშირად აღარ მაკითხავს,
სულს თუ ვანდე ეს ხორხოცი,
ვეაფები საფიცარს.

ამ ეჭვების გადამკიდე
ამბორს ვინლა მაცლიდა...
შენი ცრემლის შხეფებს ვცრიდე,
ჩამოგძერწო სანთლიდან.

სიგოგმანეს ესადაგა
ფოფრი, ვითარც ფარშევანგს...
სიმარტოვის ბული მთაქავს,
გებებ, გინობ საშველად!

წინათობა

ვერას ვუხერხებ გულს,
ვერას ვუხერხებ ვნებას...
ღრუბლიანობა ქუხს,
უნიათობა მსხეპავს.

ვერ ესაღბუნა სულს
ნაუცბათევი განსჯა..
უხერხულობა ღუღს,
ისარი მიზანს ასცდა.

მოფუგვირისტებ ხარკს –
უფლის სიმშვიდის ძალას...
ვეპოტინები ხავსს,
რომ ავერიდო წკვარამს.

ჯანყო

სიტყვაკაზმული
ჯანყი ქართული,
ფლიდი ზრდასრული,
ვერცხლში ჩასმული.

ბორგავს ავსული,
წრეგადასული,
ჯაჭვი ნაცური,
ფანდი ქოცური.

არ აწყაული
ვაზის ნაჟური,
ემხის საცდური,
ფაცი - ფაცური.

მაინც პრანჭული,
თან წახნაგური,
თან ვახტანგური
მრწამსი ქართული!

აღმოსდა

ექო ღვთის ხმების,
ღალადი მცნების...
მსწრაფლ ვერ ვიცვლები,
ვით ელვის ფრთები.

მაშვრალი ბრძენი,
შარაგზა ბნელი,
სიმართლის მთქმელი
აძაგეს ქველი.

აღმოსდა მოყმეს:
– რას უსმენთ ოხრებს,
ველი თუ მოხნეს,
ვიყუჩებთ ცოდვებს!...

ვერ ვუგებთ ნოხებს
უხიაგ სოფელს...
რაც უნდა მოხდეს
ვუხშიროთ ლოცვებს!

მარადიული ტკივილი

არ დამიკარგავს ბრძოლის სურვილი,
არ დამშრეტია მაშვრალს გონება.
ილაჯგაწყვეტილს მდაგავს წყურვილი,
მონას არ ძალმიძს თავის მონება.

მაგიურია ძალა სიკერპის,
ის ვერ დაუცდის მეფის განაჩენს,
თუ გაისანთლა ძაფი იმედის,
თვალი ციაგით იტყვის დანარჩენს.

ეშმა ღრუბლებში ხელს აფათურებს,
ნისლი ედება მიუვალ მწვერვალს...
ისიც მაწუხებს, რაც არ მაწუხებს,
მარადიული ტკივილი მცელავს!

არ დაამწუხრო

დრუბლის ფთილები
შეერწყა შეიდფერს,
ისე ირთვები
ანათებ მზისებრ.

გული აძგერდა,
გული ეული,
ტანჯვის საშველად
ვარ შერყეული.

გავითავისე
ალი სიფრიფა,
ლაწვის სიფითრემ
ამაგიზგიზა...

დაე, საწუთროვ
აფრქვიე მადლი,
არ დაამწუხრო
მაისის ვარდი!

ღუღს

თვითნებურობის
იმიტირება,
გაუცხოების
ძერწავს დილემას.
აზრი რომელიც
არის საჩინო,
ცრემლის მთოველის
სახოს სალხინო.
თითქოს დღეს ისე
მოხვედი ახლოს,
განწყობის მყისვე
ზღპარი სახლობს.
ო, განივთება
ვერ ვითავისე,
სხივი ეცლება
მთვარის კლავიშებს.
წამო, ჩამოდი
ღელის ნაპირზე,
აქ ხომ სამოთხის
ღულს სინატიფე!

მათრახი

იცე, ზამბახთა შემოგარენი
როგორ ელიან წვიმას შხაპუნას? —
ვით ნაომარი ყრმა მოაბჯრენი,
მშვიდობის სხივმა ვით დააპურა.
რა საგალალოდ გაიფეჟილა
ტრამალის გულში გულდრძო კაცუნამ,
მიწიურობით დაღლილ-შეშლილმა
მათრახი ციმ - ციმ აატკაცუნა.

გალაჟნის მიღება

ნათელ წინაპრის მრწამსი
მომავალს სასმისს აწვდის...
სცნო ცისარტყელას სხივმა
დრო რომ შეიცვლის შირმას.
თეთრი გალაჟნის მიღმა
ერთ დროს ხონობი იჯდა,
დღეს წითელგულა ჩიტი
თვალცრემლიანებს ითვლის.

ჯაითაჰოსე

როგორ დაგვჯაბნა
სიძულვილმა,
როგორ დაგვჯაბნა,
ისე გაჯანჯლდა,
ისე დამყაყდა,
როგორც ჯანდაბა.
მობრუნდი აქეთ,
შემოხედე
ღვთიურ კარიბჭეს,
ანათე სახე,
ითავმწონე,
როგორც სალი კლდე.
გაითავისე
უთქმელობის
აზრის სიამე...
და სასიკეთო
სიხალისეს
პატივს მიაგებ.

კალი

შური შფოთა
ნაკლისა გამო,
როგორ მოშლია
უქნარას კალი.

როგორ წაღეკა
ღვარცოფმა ხევი,
ზენამ დაკვესა
შემოქმედ ხელით.

რადგან კერპები
ალარ მასვენებს,
უწუხს ფესვები
მყარად საშენებს.

საჩქაროდ ვიხმობ
ზვარში მონაგარს,
ურთიერთ სითბო
ცის მადლს მონახავს.

ღაჰქრწი

ფოთლები დაცხრილულ
კარუსელზე,
ნიავეს შაქარყინულ
ყელს უღერებს.

ჩიტმა დააჩქარა
ჯვარისწერა...
სიტყვა ტკბილშაქარა
არა მჯერა.

ლეკვმა ამილოკა
ხელისგული,
ვნება აიფოფრა
დანატრული.

პეპლებს წამწამები
დაუსველდათ,
შენგან ნაწამები
დავძრწვი ველად.

ეპიგრამა

ნეტა, რა იწვევს
მელანქოლიას?
როცა გავიწევ
ვიწყებ ფორიაქს.

როს წარმოსახვა
აწითლებს ყურებს
აზრის ჩასახვა
იფაციფუცებს.

როს ვნებას კაუჭს
ამოსდებს მრწამსი
კვლავ გასცრის აუგს
შემთხვევის ნავსი.

როცა იყეფებს
ეიფორია,
განცდის სიფეთე
სულის შმორია.

მთქონს

მერცხლების ჭიკჭიკს
ხმა შევაწონე...
ღვთის აღქმა მიჭირს,
რაიც მალონებს.

დაეხშო კარი
სივრცის საუნჯეს,
განგება არვის
სტოვებს დაუსჯელს.

ჩავკიდე ხელი
ვერხვის კარუსელს,
მამშვიდებს ცრემლი –
ვნების საუნჯე .

გარემო ასცრა
დილის ნიაგმა,
ეჭვები ფარცხავს
სულის იარას.

ღიაღუბა

მიქრიან დრონი
ყოფა მძაფრდება,
სიხვეჭის მნდომის
ქუხს დიადმა.

შესტირის მოყმე
წყვდიადის ქროლვას,
მოუწევს ოხრებს
ლაცაცის ქოლვა.

გამოიფიტა
გონის უჯრედი,
მხნეობს, სიმწრისგან
უტყვი სულგრობელი.

ამ ღვთისნიერი
თავშეკავებით,
ღულს მყისიერი
პეწი ზმანების.

გოდა

მიმჭკნარ თავთუხებს
მზე გარსს აცლიდა,
ულმობელ წუთებს
მოსდევს განტვირთვა.

აცრემლებული
ბუზის ხმა მესმის,
დოღს დარჩენილი
ღაღანებს მწყემსი.

როგორ შეჰყეფა
უცხოს ნაგაზმა,
არდაფეთება
ჩაკლა ნაფაზმა.

როს ახორხოცდა
ბახუსის ნავსი,
გაჩაღდა მოდა,
ყანწებში აწვიმს.

ჭაპანი

ამ გატრუნული
მასის გარშემო,
უნდა ურმული
მიმოვამშვენო.

თავისუფლების
შევიგრძნო ფასი,
არ გაწბილების
ვარწიო თასი.

ეჰ, მაგრამ ხშირად
ამგვარი ნატვრა,
ამაოდ სწირავს
ბრძოლის ველს სარდალს.

ყველამ, რომ თვისი
ჭაპანი მართოს,
ვინ იტყვის თბილისს
სძინავსო ამ დროს?!...

წყნწყნო

თუ იწონება
გარემოება,
მაშინ გონებამ
წვრთნას სათნობა.

თუ ათკეცდება
უნარი გზნების,
გული ეცდება
შეისხას ფრთები.

ხილულ უკუნის
პირქუშ სახეებს,
ბუზლუნ - წუწუნი
ციმციმ ახევეს.

უმაღურობას,
როს ეშმა სუფრობს,
უწმაწურობას
განგება უწყობს.

რაც რამ

გაცვდა სურნელის სიმძაფრე,
ფიქრმა ღრუბლებში იფრინა.
რაც რომ სიცოცხლეს მიხარებს,
ის მახლოებს სიკვდილთან.

რაც რომ მარჯვენამ შემძინა
უგუნურობამ წაღეკა.
ამაოება მემძიმა,
ცელი ვაგემე ნარ - ეკალს.

რაც რომ სიზმარში ვიხილე,
ცხადში შეფარვით ამიხდა.
ვერ ვითავისე სიფრთხილე,
ვჩორკნი მომავლის ხარიხას.

ჩაცხრა სურნელის სიმძაფრე,
სულმა ზეობა იტვირთა...
რაც რომ სიცოცხლეს მიხარებს,
ის მახლოებს სიკვდილთან.

ყაიპუთი

დაჭკნა შროშანა,
ხმება ასკილი,
ისმის ოსანა,
თავშალ აშლილი.

აღმოსავლეთის
ქარმა დაჰბერა,
კვლავ ყაიმეთი
შეგვრჩა სახელად.

სიდუხჭირემაც
იჩინა თავი,
ყოფის დილემა
უმწეოდ ღნავის.

შინაგან არსის
მიმქრალ კანდელთან,
ძვალტყავა ძალლი
ძლივსლა აყეფდა.

შიასლოჟუბა

უნიათობის
საღესი გაცვდა,
სულის ღნაობის
ჩოთირობს განცდა.

როცა განწყობა
საღერღელს უტევს,
ძნელად იწყობა
ინტიმის ბუდე.

მაინც მატყვევებს
თვალთა სიმკვირცხლე,
ღაწვებს საფერებს
შვენის სიფითრე.

ციური ხმები
სცრიან საუწყებს,
ვუახლოვდები
ვნების კარუსელს.

პოეტიკა

ჰო, პოეტები,
მზის მოედნებით,
მივედ - მოდებით,
რარიგ ვცხონდებით?!

რარიგ კიაფობს
ჭრელი იაბო,
როგორ იაზობს
აზრის ფიასკო.

ვერ გავიაზრო,
თუგინდ სიახლე,
დაე, მიმასწროს
ცეცხლთან მძინარემ.

რადგან ხორხოცობს,
რიტმის მანტია,
მივცოხნ-მოვცოხნოთ,
რითმის ფანდია.

შაიჯუჯილა

როს ქსელში გაბმულ
მსხვერპლს ვედარებით,
აცრემლებს ნატრულს
სიმწრის ზარები.

მივსდევ საწუთროს
ალხან - ჩალხანით,
ისევ ავსუფრობს
შლეგი ზრახვანი.

გ ა ი ჯ ე ჯ ი ლ ა
ჟამთა სიავემ,
ხავის შეშლილად
ბრიყვის სიაბე.

ზღვა გადასილავს
ასაცრელ მდელოს,
მამულს გვიჩრდილავ,
დაბღურა მტერო!

ნათქო

ბუნდოვან აზრის,
ქარიზმას აწვიმს,
მიმჭენარი ხავსის
ჩაშმორდა ნავსი.

თვალსისხლიანმა
იელვა ლანდმა,
გაინაბა და
ნისლებში ჩადნა.

ჩანს შენიღბული
ეშმას სამკვიდრო,
ზნე შებლალული
ვისლა დაინდობს!

დაძრწის ღრუბლმცრელი
ნაოჭი ცაზე,
ლიუციფერი
მარაოს არწევს.

ლანდი

ბელტებს აქუცმაცებს
კაცი დაზაფრული,
სხეულს დარაკრაკებს
ოფლის ნაკადული.

კრუხი ქოთქოთს ბარდნის
ციცქნა წიწილებთან,
წვიმს და მთვარის ლანდი
წყალში იძირება.

ისე გაიცეცქვა
სივრცის შარავანდი,
ძლივსღა შეიმჩნევა
ტაძრის გალავანი.

ო, ეს ტლუ ქაჯები
ღრუბლებს დარაჯობენ...
უფალს ვეაჯები
სულმნათ საგალობელს.

დილემა

ყოფიერების
ღვთიური განცდა,
უსაზღვროების
დილემას ასცდა.

ორღობის ფაცხას
ქეცი მოედო,
მოკვდავი ცასთან
მიეთ - მოეთობს.

გაუცხოების
განზომილებას,
თან განივთების
მოსდევს მხილებს.

მაშინ კი როცა
კაცი თავს კარგავს,
უფალი ლოცავს
მომავლის ცარგვალს.

სველი

იცი, მომწყურდი,
შხუოდა ტალდა,
როს მემდუროდი
ეძინა ბაღნარს.

ჩაბაცდა ცივი
ვნების ქარტია,
ცისკენ არწივი
მზემ აარწია.

როს ახლოვდები
ხარ მეტეორი,
განმეორდები
ვითარც ტენორი.

ეჰ, მიმატოვე,
სხვასთან წახვედი,
სუსხი მათოვე,
ხვედრი ასკეტის.

ღრთოჲ

თვალნათლივ ვხედავთ,
საქმეც გვიჩვენებს,
მარიონეტთა
მდაბლურ სიბეცეს.

ტახტის წინარე
აყალ - მაყალი,
ისე მცხუნვარებს
ვითარც მაყალი.

რა ეშველებათ
ამდენ თახსირებს?
სულის ფეთება
ნუ გაგვაკვირვებს!..

ხვნეშის ერდოზე
ჟამი საძილე,
უფალო დროზე
გამოგვალვიძე!

სიტყვა

დამლა ედება
ახლებურ ნაბიჯს,
სულისკვეთებას
შემთხვევა განსჯის.

უეცრად ისე
იცვლება მზერა,
მოკვდავი მცისვე
მიმიკებს კერავს.

ზოგი მისწვდება
ფრთებით მწვერვალებს,
ზოგი მითებად
გაიელვარებს.

მრავალს კვლავ სძირავს
ყოფის დილემა,
სუნთქვის საწინსვლად
სიტყვა მწიფდება.

ოსაქმოს

იცით რას ნიშნავს,
როცა ჭიქას ვწევთ?
ხობავს ქარიზმა
მრწამსის წინაშე.

ჩვენ არ ვართ დიდხანს –
მოგა მიქელა...
რაიც რომ გვიყვარს,
იმან გვიყელა.

მრავალჯერ გვითქვამს
იმერ - ამიერ,
ისაქმოს სიტყვამ
მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ !

მსწრაფლ

კენესის ნარცისი,
ეს რა ყოფილა,
გაუსაძლისის
გამოცდის დილა.

აგვაფინთიხა,
სისხლს გვწოვს კოშმარი,
ღნავის იჩქითად
გზის გამთოშავი.

ამდენ თავხედებს,
ამ უხერხემლოთ,
მსწრაფლ გადმოხედე
ციურო გ ე ნ ო !

თორემ აშმორდნენ
ვერცხლის სილაში,
ღროა, რომ მოჴდნენ
მდელოს წიაღში.

ფუჭია

გაიფარფაშა
ნისლის პირბადემ,
გრძნობა გაშმაგდა
სულთან მისვლამდე.

შორს ხარ, ამიტომ
ვერას მიშველი,
გული გაიპო,
გული ფიცხელი.

უნდა გამოვცდე
ამ მსუსხავ ბარდებს,
რომ კვლავ გავვოცდე,
ვუწამლო დარდებს.

ეჰ, მაგრამ ვიცი,
ფუჭია ფიქრი,
ქარწყლდება ფიცი,
შავეთში მივქრი.

პაპროზი

მიწიურია
მცდარი ნაბიჯი,
მოკვდავს სწყურია
თესოს კაპრიზი.

გარდუგალია
ბოროტის რისხვა,
ჩემი ვალია
ველოდო სისხამს.

უკუნს წავრსტაცო
სანიღბე ფერი...
ფუჭად მამაცობს
ვინც მჭახედ მღერის.

როდესაც ფარსის
ივსება თასი,
შეუძლოდ არის
შეცნობის მრწამსი.

ლავუი

ხარბად ისრუტავს
ცვარს ქორფა ყლორტი...
ჟამმა მიმწუხრა,
საწუთროს მოგწყდი.

ვერ ავისრულე
გულში ნადები,
წვა წიწკნის ყურებს,
ლაფში ვვარდები.

ასე უბრალოდ
რადგან წახვედი,
ვის ვამუდარო
აზრი თანხვედრი.

არადა ვიცი,
ყოდა სისხლი,
თუკი დამიციდი
ქედს ვიხრი მიწყვი!

გაუთხ

როცა დაიდგამს
კისერზე უღელს,
მაშინ კაი ყმას
ცხოვრება უღრენს!

თარი იცლება,
არავინ უწყის,
როდის იცრება
ეშმაკი სულში.

ოღონდაც ერთი
ვიცოდეთ ყველამ,
შეცნობა ღმერთის
აღვივებს კერას!

აჰა

ისევ ატორტმანდა
სივრცის გემი,
გენის ამოცანა
შევიგრძენი.

უკვე ახსნილია
ზედა ფარდა,
ტალლა აჭრილია,
ა ი ბ ა რ დ ა .

ჰოი, პოსეიდონ,
მოსეირნობ!...
აღარ გაიცინო
მოსეირო!

აჰა, გამოჩნდაო
პარასკევა,
წუთით ჩანაცრდაო
ა ნ ა თ ე მ ა!

კვლავ

გაიფინთისა
ძალამ, რომელიც
არის ბილწი და
ღვარძლის მთოველი.

კვლავ ამჯობინეს
ქრისტეს ბარაბა,
თავს დაფოფინებს
ცუხი სალაფავს.

ვერ ვანუგეშებთ
ლტოლვით ბანაკებს,
კვლავ ვაუხეშებთ
ყოფით არაკებს.

კაცობრიობის
წმინდანთა წმინდად,
მრწამსი იობის
ამოტივტივდა!

თრთოლვა

მათობს სინანულის
გაელვება,
თვალი მინაბული
იცრემლება.

მცდარი გაწბილების
ათინათით,
ზეობს აღტკინების
განთიადი.

გემის შლეგი აფრა
იფარცხება,
თრთოლვა აკიაფდა
ცისარტყელად.

დნება მოგონება
ცივ ფიფქებად,
განცდა სათნოებად
იცრიცება.

სპატი

როს ბელზებელი
ისევ თარეშობს,
სულის შემძვრელი
ხდება გარემო.

ხვატი თავს ესხმის
მთვლემარე ცდომილთ,
ჯანყი ჩამესმის
უეცარ კრთომის.

ეჰ, გულგრილობას
და გაწბილებას,
ეხორკლირება
ცხადის მხილება.

თეთრ ბაირაღებს
როცა გაშლიან,
ვინ გაილაღებს,
ვისთვის ფარსია.

ჩანაყა

უხილაგ საფარშია
ჯარი ვარსკვლავების,
ღრუბელმა დაამშია
სივრცის მარმაშები.

ციურმა ათქეშებამ
ჩანაყა ხოდაბუნი,
ბერმუხას ახვნეშებამ
დაზაფრა მზეჭაბუკი.

როდესაც მიიღია
ეს დავიდარაბა,
სხივების იდილიამ
შეალო დარაბა.

ღამურა უკუნთან
განშორებას განიცდის,
უფალმა მსუბუქად
დახარა ფარი ცის!..

ჰ(10)

ჰოი, ნარნარინა,
ჰოი, ნეტარებაგ,
ცრემლი მომადინა
შენმა შეყვარებამ!

რარიგ ჩახვევია
ბარდი იასამანს,
გულზე ამხევია
ტრფობა იალქანად.

ნუთუ მოფრინდები,
ნუთუ მოფრინდები?
ისე ავინთებით,
ვითარც მაშხლის ფრთები!

ისე მენაზები
წმინდა კელაპტრებით,
ვარსკვლავს შევადნებით,
სათნო შემართებით!

ამაოლ

კვლავ აბოგინდა
ვნება ღატაკი,
ამბიონიდან
ბგერებს ვფანტავდი.

სულმა აგუბა
სვედის მორევი,
გადააქუფრა
ნისლმა გორები.

კვლავ ათავთუნდა
ჟამი მუდრევი,
ამაოლ ქუნდა
ჯანყის უჯრედი.

კვლავ პაექრობენ
ცოდვა და მადლი,
კასკასს ახშობენ
უკუნის კადრით!

ცუნა

ამაოების განცდა
გაურკვევლობას ფარცხავს.
მოთაქულია მრწამსი
ჩაბჭირებული ფარსის.

აფორიაქდა ცოდვა,
ლოღავს სიმართლე ობლად.
აზვირთებულა ტალღა,
წაქცევაზეა ფაცხა.

ყამთა სიავის თქემის
ათინათები ხვნემის.
დამლა დაედო სირცხვილს,
გამოცქვიტინდა კვიცი.

გააწკრიალა სმენა
ნაზამთრალ შაშვის სტვენამ.
ჩალპა ნიღბების ცვენა,
კეცალკენარობს ენა!

აშპარად

ყეფს სიძულვილი
ისე აშპარად,
განსჯის წყურვილის
მადა ჩამცხრაღა.

გაჰყვა ზენა ქარს
პეწი და ხათრი,
ამეკვიატა
სიკვდილის ლანდი.

სულს კოშმარები
ბურუსში ახვევს,
ვეცარგვალეები
პირვანდელ სახეს.

ვერ გადვიქეცი
რადგან მლიქვნელად,
კვნესის სიბეცის
შვების სიმღერა!

უნდა

კვლავ ზენიტშია
კაცთ სიბოროტე,
მაგნეთ ხელშია
საჭე ბოლომდე.

მიმოისვრიან
გესლიან ჭურვებს,
სადლა იცლიან,
რომ არგონ ურვებს.

გაზულუქებულ
კასტათა დასი,
მამულს და დედულს
არაქათს აცლის.

უნდა აღზევდეს
გუნდი ფხიანი,
კუთვნილს დასჯერდეს
ა დ ა მ ი ა ნ ი !

კვამლი

კაცს რიხრახს ურევს
ცდუნების პეწი,
ვერ ირგებს უღელს,
გულ - ღვიძლი ეწვის.

ველარ აღიქვამს
რეალურ ყოფას,
შეჭირვების ჟამს
ცქმუტავს და ოხრავს.

დანლართულია
გზები სავალი,
დავლურს უვლიან
ვერცხლის მძალავნი.

კვამლი მწველ ფერად
შეერწყა ღრუბელს,
მთვარე ვენერას
მარაოს ურწევს.

ყვავილი

ოი, თვალთა კრთომით
სულის შენათებავ,
შენი თანადგომის
მაღლი მენატრება...

როგორ ვაჭიატეთ
გულის ხვაშიადი...
იქნებ დაგვიამდეს
ლორთქო ხასიათი.

იქნებ შეგვიხიდოს
ქარის კარუსელმა...
შიშმა ბეჩავ ხვითოს
შუბლი აუსველა.

მგონი ვიფარფატეთ,
როგორც ღამურებმა.
დილის სუნთქვის მნათე
ყვავის კაპუეტად!

იყველრის

ზებუნებრივი
განცდის წყალობა,
ჩვეულებრივის
არის განგრცობა.

განწირულ კრავის
მესმის ხავილი,
იყვედრის ხვაფი -
სულჩაკნავილი.

თუ რამე ძალა
დღეს შერჩენია,
სისხამი კვალავს
ზესთაზენიარს.

სასინჯად მაინც
იმ გზას მიყვეფი,
სადაც რომ ყვავის
აზრად ფიქრები!

შუბრო

დეღემამ აგლიჯა
ქარაფს საკინძე,
ელვა საქირდავს
მიმოაფხიზლებს.

მოჩვენებათა
ცივი ხელები,
გამოიკვართა
ლამის ფერებით.

მუდრეგი ჟამის
ცეტი ზმანება,
ფხუკს ვით ჭილყვაგი
და უკარება.

სცრის საფირონებს
უშრეტი სული,
მუნ აცისკროვნებს
უებრო დუმილს.

სა00

როს ველარ სუფრობს
ეშმა ქაქანით,
თითქოსდა უფრო
ვხდები ამტანი.

გკმაყოფილდები
თავის გატანით,
დავიცინცხლები
სულის ხანძარით.

ჭირს ჩანაფიქრის
დროზე გამხელა...
ეჰ, საით მიქრის
ჩემი პანტერა?!...

როს ნათელყოფის
კერა ნელდება,
უანგარობის
ცვდება ხელწერა.

ცოტანი

ჟამ - ჟამ ვრწმუნდები
ნშირად ცხოვრება,
არის მუქთების
ანორხოცება.

ცოტანი იხდის
უფლის ბეგარას,
ჩაუწყდა ნიხრი
ტანჯულ ქვეყანას.

მრავალი გუნდრუკს
უკმევს ელიტას,
ხალისი უცებ
შემოგვეფიტა.

ჩაბეგვილია
სული შლეგურად...
დღე ჩაცრილია –
კენესის ბელურა!

შაინც

არგანცდილ გრძნობის
მეწადა ხილვა,
სიახლის ხმობის
მბოჭავდა შირმა.

არად ვაგდებდი
არად ჩაგდებას,
მაინც მაბნევედი
დღის ჩალამებად.

უფალი ალბათ
იმიტომ გვტანჯავს,
სიმდაბლის კართან
არ ვიშლით ჯანჯალს.

მაინც გიმლერი
ჩემებრ ქარტიას,
სხივი იმედის
თავს დამნათია!

ყოველ წამს

ამდენ წვალეზას ვედარ ავიტან,
რარიგ კენარო, რარიგ მცინარა,
შენს აურაში შემოჭრილი ვარ
და სხვა მიჯნური არად მინდა რა!

რატომღაც, ისე შორ - შორს გარბიხარ,
ვერ მოგიხელთე, ვერ გიამბორე.
იცო, ყოველ წამს ისე მაკლიხარ,
ვით საკალმახეს ვრცელი სატბორე.

იმ კეკლუც წუთის დაისს შევნატრი,
როს გადმოვაფენთ თავთუხს ბანტიანს,
აჰა, მომწიფდა უკვე ვენახიც,
ბადაგს გრძნობები გაუნასკვია!

ავშარტოზი

კვენესის ტარტაროზი
ღვარძლით განათოში,
ბრწყინავს ავგაროზი
სევდის სალაროში.

მაცდურ სირინოზებს
ღამეც არა სძინავთ,
ელვამ ალიონზე
ცრემლი მიმოფინა.

ზეობს მაღლიანი
არსის შეფერება,
ღედა მარიაში
მოგვებს ეგებება!

რა არ იტანჯე

ვერ გამეტყველებ ძარღვიან სიტყვას,
აწმყოს ჯავშანი თუ არ აცვია,
ნაიარევი მახსენებს სიზმარს,
წარსულის სხივი ეწვის ვარძიას.

ეწვის და ისმის ლომგულთ ღაღადი,
სისხლი ბზარავდა გარუჯულ ქარაფს,
როგორ დაგლეწეს, მაინც გადარჩი,
მამულო, უფლის წყალობა გფარავს!

რა არ იტანჯე, რა არ იკმარე,
ცრემლი სდიოდა ბორცვებს თუ ფიქალს...
დღეს იშრიტება ყოფის მდინარე
და სათქმელიც კი დროზე ვერ გვითქვამს!

სახრე

ცხოვრების წესი -
დავიდარაბა,
სიცრუის მწყემსი
ხვრეპავს სალაფავს.

ხელი ძალუმად
ლაფში ვურიეთ,
წინსვლის მარულა
გვაზაფრავს სულიერთ.

როს წარმოსახვებს
ძალა ადგება,
არ ასცდა სახრე
თავის მართლებას.

იშვიათია
ალალი სიტყვა,
რაც ცინცხალია
ჩიხშია დიდხანს.

ცოფრეზი

როგორ გამიფრინდა
შენი თვალთა კრთომა,
ვნების ჩამიჩიდან
ცრემლი ჩამოთოვა.

ნუთუ, ვერ ვიგრძენი
რაც რომ იგულისხმე?
ოი, ეს ციფრები,
როგორ გვიკულისებს!

მიწყვიტე გაირბინა
ეშმაქარაფებში,
თითქმის ჩაიხრია
ზვავი დანათქეში.

სხივმა იავარა
ნასხვის ალებიდან,
ეულ იასამანს
ცალყბად ჩაელიმა.

საფარში

უმსგავსოება
ილესავს კბილებს,
განხეთქილება
მომხრებს იკრებს.

სულის განგაშის
წივის სირენა,
კნავის საფარში
ბრმა ახირება.

თვალს გაუჭირდა
ფერთა გარჩევა,
მთვარე ატირდა
ღრუბლის სასჯელად.

ღიაფობს ჩქამი
საწუთროს მხრიდან,
ღვთიური მრწამსის
გამოკრთა ღვრიტა.

გთლზე

ამიქუხდა უცებ
სატრფიალო ტალღა,
თუხთუხს ძლივსდა ვუძღებ –
შხეფებს სივრცე ხაპავს.

მორაკრაკებს ისევ
მადლიანი რუ და...
მყისვე პეშვებს ვივსებ,
მოლოდინით ვცქმუტავ...

გამოჩნდი და კიდევ
მოგოგმანდი ახლოს.
ჩვენი კრთომის რიდე,
ოცნებებში სახლობს.

დილის ღვრიტა ვიგრძენ
ამ დაცვარულ მოლზე –
ცხადად ყოფილ სიზმრებს
ვუწილადებ ცოდვებს.

მეხი

როგორ აირია
მწყობრი წარმოსახვა,
ბედის ირონია
რჩება გამოცანად.

გაკრთა გაფრენილი
პეპლის მოლანდება –
ჯინით გასენილი
ურვა ორმაგდება.

ო, ეს ვამპირული
სახრის გაელვება,
განზრახ განწირულებს
ფერფლად დაეყრება.

რიჟრაჟს ენაპირა
მეხი ანათემად.
ვარდი საფლავის ქვას
ცოცხლად დააკვდება!

300

არ დაგუშვავთ, საქართველო
დაქუცმაცდეს ნაწილებად,
მამული ვით ავართველოთ,
თუ მოყვასი დაგვცილდება!

ვით ვაკვნესოთ საზანდარი,
სათითაოდ, საჩოთიროდ,
არ აღწევდეს ფარსადანი,
მტერს შიში არ ვაგრძნობინოთ!

ვით ვეკვეთოთ მტარვალ დუშმანს,
თუ ერთობის ფრთებს არ გავშლით,
ულალატოდ, დარაზმულად
ვეცარგვალოთ ერთურთს მხარში!

ჰელარ

როცა კერპები
აღარ მასვენებს,
მაშინ ვერხვები
თრთოლვას აჩერებს.

რადგან სიმართლე
ლაფში გასვრილა,
ველარ მინათებს
ჭრაქი გზაწვრილას.

ამ გაწბილებით
სულით ხორცამდე,
ავის ხელქვევით
მიჭირს ვხობავდე.

ჯვრის შემეცნების
ექო აჟღერდა,
აეშვა ფრთები
ციურ სარკმელთან!

ფოსტაჟსო

როცა კამათმა
დაჰკარგა აზრი,
ველარ გარანდა
შეგრძნებამ მრწამსი.

დამთმობი საქმეს
მიაფუჩეჩებს –
შეეხო სახრე
სულის უჯრედებს.

როცა განწყობას
სიყალბე სძალავს,
ვნების ჩაცხრომა
აღვივებს ვარამს.

როცა უმსგავსო
ხმები დაირხა,
დროზე არ ფასობს
მაშინ კაი ყმა.

ოხრავს

ეჰ, ავეტმასნე
ბრბოს ნირწამხდარი,
უმეცარ მასებს
უთრთით ფარ - ხმალი.

ინერციითა
და შეძახილით,
ზე აიცრიცა
ბრიყვის აჩრდილი.

დაწნეხილია
სულის ზეობა,
დროს დასტირიან –
ოხრავს მეობა.

ბუ ეფოფრება
გახრწნილ დილემას,
ქაჯს უსაფრდება
გამოცდილება.

306 რას

ჰოი, ვინ გაანსჯის
ვინ რას ვშაირობთ? —
როცა, რომ ჩარჩი
ბაძავს ბაირონს.
ბაძავს იმაში -
ეკვეთოს ტალღებს,
ცეცხლის წვიმაში
კი - რანდავს მახეს.
მრავალი ბაძავს
გალას, ტიცვიანს,
დრო როგორ გვბლალავს
ის არ იციან.
როს ამ ლაყაფის
იმძლავრებს ექო,
ღვარცოფის ლაფი
წალეკავს ბექობს...
და რაც დარჩება
ნაჟური ნაღდი,
სულის სარჩელად
ქაოსში ბარდნის!

30000

როს შემაცბუნა
მონანიებამ,
ცოდვის სასრულად
მძლავრობს მხილება.

ვითომ სასრულად -
გასავლელ ბილიკს,
ისევ გამურავს
ბნელეთის გზირი.

საწაულების
იმიტომ მჯერა,
რომ ერთგულების
ვალვივო კერა!

აასპარეუზს

რადგან ვერ ვიტან ერთფეროვნებას
დავლოლიალობ კიდით - კიდემდე,
ვამკობ შეცნობის ხიბლის ცხოვნებას,
ზეშთაგონების ტალღას მიგენდე.

თუ ჩირაღდანი ვერ მოვიხეღთე,
თუ ვერ გავწიე ჯურღმულის ფარდა,
რა თავში ვიხლი სულის სითეთრეს,
რად დავესესხე ფერები ლაჟვარდს?!...

თვითდანაკისრი მოვალეობა
არ შეედრება ყურით მოთრეულს.
ზოგჯერ ითვლება ხრიკი ქველობად,
აასპარეუზებს კაცი ორეულს.

სწიკრავს

რადგან თვალთმაქცი უსაფრთხოება
განწირულია საფრთხის წინაშე,
რადგან სულიერს სცრის სასოება,
ჭიანჭველაც კი ადგილს ინაცვლებს.

ეს ვალაკიტა ასე მგონია,
ათას თაობას კიდევ აწამებს,
ზოგჯერ კაცს კურკაც აუწონია,
ზოგჯერ კი კოშკებს სწირავს საწადელს.

თუ საბოლოოდ ღვთის შემწეობით
ეშმას ღვარძლი არ ამოძირკვდება,
ამ დაუდგრომელ მოკვდავთ ქლესობით
კვლავ იცოდვილებს აზრი კირთებად!

ღირსების პატივი

მშვენიერება, დასაკარგად არ მემეტები,
მწყურია, გკრიფო უსასრულოდ ძოწის მტევნები.
სურნელის მადლი მოგაფრქვით არსის ღვთაებას,
ლაბირინთების განუსაზღვრელ ქსელში გავება.

მშვენიერება, შენი სითბო როცა მაკლია,
ავი სულები სათნოებას აღარ მაცლიან.
ყოფიერების გზატკეცილი რადგან მრუდეა,
ჩამორჩენილ მგზავრს ბოლობოლო აღარ უცდიან.

არ დაოკდება წინსვლის მრწამსი რადგან აროდეს,
ვნების წიაღში იავარდი უნდა ხარობდეს.
განცდების ჯერი ჩაიქროლებს, როგორც სიზმრები,
ჭეშმარიტება, მოამრავლე მადლი ღირსების.

ყოფილი

როს უზნეობის ფრთები იშლება
სიმართლის ქომაცს ყურს ვინდა უგდებს,
წარმავალია ყალბი დიდება -
შენიღბულ სახეს ვერ ინარჩუნებს.

როს მავნებლობის სიაშკარავე
გახდება ბრბოსთვის თვალშისაცემი,
გაიძვერას რომ წიხლს ამოკრავენ,
ორი იხარებს ერთის დაცემით.

ო, ეს ყოფითი საგნების მტვერი
როგორ მალ - მალე მაღიზიანებს,
მზად ვარ ქარაშოტს ჩავკიდო ხელი
და შევეჩეხო ქარის იალქნებს.

ბეატრიკეა



ექო

უფალი განსჯის და განაგებს
წყალობას მადლიანს;
ტრამალის ასაცრელ სანახებს
ფაფარი აშლიათ.

ქარაფმა გამოსცრა ყარიბის
უმწეო ექო და
ამ დილის სიფრიფა ნამიცი კი
საცრემლად მეყოფა.

ნაბიჯი თამამად შეეწყო
სისხამის ზვაშიადს,
ლაჟვარდმა აღლუმი აუწყო
მერცხლების აშრიალს.



მისათრავ

ეჰ, როგორ დაგვშორდნენ მოძმენი,
შორეთში დათრთიან...
ჩამკვდარა სურვილი მოლხენის,
ხევეს ძონძი აცვია.

მივათრევ უფსკრულის პირამდე
ნილბიან სილაჩრეს...
ეხ, ნეტავ თავს როგორ ვიმართლებ
სინდისის წინაშე?!...

მეზმანა, მისტიურ ფრთიანმა
ბოძალი მომართვა...
აღმასვლის აღრევა ნიადაგ
განგებამ მომართა.

ჰერაკა

იმგვარად შეჰყვივლა მამალმა
ბუმ კანჭზე იკბინა,
უკუნი ძალუმად აშმაგდა -
სიახლის სიმწრიდან.

აფრინდა ნაკრუხი ხოხობი,
შეერწყა განთიადს,
ჩემეულ სტიქიას, მოფონილს
ფაფარი აშლია.

დავძარი კარეტა ნამყოდან,
ტაიჭმა იმარჯვა,
ფოცხვერი ბექობზე ახოხდა,
ვაელვებ მინანქარს;

წუთიერ იმედის მაშხალა
დილის სუსხს ვაკვესე,
ვერარა ხალისი და ძალა
ვერ მოშლის საკვნესებს!

რ(ა)ბ(ა)რ(ა)ლა

მილეთო, როდემდე ვისმინოთ
ამაო ლაყბობა?
ჩაგრულმა როგორღა ითმინოს
ღირსების ჩაქოლვა!...

ზოგ - ზოგებს მეტადრე აშფოთებთ
ძვირობა ამგვარი,
არადა, კერიებს დაშორდნენ
სხვენებში ამძვრალნი.

ოდესმე, იმგვარად დაკვესოს
ცარგვალის ბრიალმა,
ცდომილებს ყურები დასხეპოს,
აყუჩოს იარა!

300 უეპკლო

მაშინებს სიშორე ვარსკვლავთა
და მთვარის სიცივე.
ჩიტების ცქრიალი დამთავრდა,
დაბნელდა, იწვიმებს!

დახშულა დარაბა ანაზღად,
ვეახლე თბილ ბუხარს,
სტიქიამ კარები ჩარაზა,
ვთბები და თან ვწუხვარ.

ჩამთვლიმა, ვიხილე ჭინკების
მაცდური გალობა,
გალაღდნენ ადამის შვილები –
ეროსი სწყალობდათ.

ნიმფებმა ლაჟვარდი გასანთლეს,
თვალს ვერ ვწყვეტ, მიზიდავს...
რით გავძლო, ვით შევძლო წასვლამდე -
ცას ვეძმო მიწიდან?!

როს ველარ

საზღვრები მიმოხნეს შლეგურად,
შინდები ოხრავენ.
მირონი წვეთ - წვეთად ეპკურა
ნაომარ ყორღანებს.

როს ველარ იბარტყებს ტბორები
ავდარი ბაცდება.
ნებივრობს მსუნაგი ზმორებით,
ლადარი ნაცრდება.

იფხიზლე, გაბედე ქართველო,
მჭვარტლი რომ ახვეტო,
უფალმა პირჯვარი დაგვწეროს -
მომავლის საბედოდ!

მღიობან

ეჰ, რარიგ მოედო გარემოს
სიყალბის თილისმა...
ცანკვილი ნამქერში ჩაემხო,
იბლავლა სიმწრისგან.

ეჰ, მაინც თახსირად გაისმა
შოლტების გნიასი ...
ნისლები ახვეტა დაისმა
უკუნის წიაღში.

პირქუში სადამო გაყრუვდა
ლეკვების წკავწკავით...
ურჩხულთან მოქიშპე ფასკუნჯმა
შეისხა აბჯარი.

კარგა ხანს გასტანა ქუხილმა,
ქარაფმა იწითლა;
ოდითგან, დანა პირს უღრღნიდა
უაზრო სისხლისღვრას!

რაც ვერ

ნაგარდობს თვალჭრელი მიმინო,
თან ბრჭყალებს აკვესებს...
ვიღაცა ფუნდუკში ტიტინებს
უხიაგ ნაკვესებს.

ვიღაცამ გარანდა აკვანი,
ლილინებს, ხელმარჯვობს...
რაც უფრო იმაშენა თაყვანი -
საწუთრო ვერაგობს.

გულდაგულ ვაფრქვიე ქარაფებს
ალები სახვატე...
მაინც ის თვალეხი მადარდებს -
რაიც ვერ დავხატე!

სიხარბე

ვარსკვლავთა მაღლიმალ ციაგი
აღონებს ღამურას,
რამეთუ სატანურ იაზმის
ტალღებში დაცურავს.

მიფოფხავს დაჭრილი ფოცხვერი,
წელს ძლივსღა მიათრევს,
მიმქრალან სხივები ოცნების -
სატანჯი დიღამდე.

რა მოგდის მოკვდავო, მზის მნათზე
რატომღა ვერ თბები?...
ბალაგნის ჩეროში სიხარბემ
გაიღვა ფესვები.

არა

მიგცურავ მისტიურ ხომალდით,
ბობოქრობს სტიქია,
თითქოსდა ახლოა სომალი,
წუთს - წუთზე ითვლიან...

ო, არა გამოჩნდა ნაპირი
წარმტაცი ბუნებით,
სამეფოს დაჰყურებს არწივი
მიწიურ ცდუნებით.

გაუვალ ჯუნგლების განწყობამ
ისარი მოზიდა...
მტრედმა კი - ბარათით მაცნობა
მარცხი იმ სოფლიდან.

მეგონა

ო, რარიგ მოედო სახადი
გაფხორილ ელიტას...
არ ისმის შიშინი ბადაგის
წინაპრის ქვევრიდან.

ვინ ვის რას სთავაზობს, ავანსობს,
იზრდება მაზანდა,
ვინ ცრემლით პეშვები აღავსო,
ვინ კი ვის ჩაბარდა.

შემთხვევამ ოცნება თვისებრივ
ხლართებში გაბარდა...
მეგონა რალაცას ვიწყებდი,
არადა დამთავრდა!

უზღუდა

ცარგვალზე, რომ მოწყდა ვარსკვლავი
ღრუბელი ჩაფარცხა,
მთვარემაც დაიწყო ღანცალი
კოსმიურ საფართან.

რატომღაც, როდესაც ძნელია
განწყობის განსაზღვრა,
თუ გინდ, რომ სიკეთეს ელიან
მსჯელობენ ცალსახად.

რამეთუ განგებამ შეზღუდა
ყოველმხრივ გაგება,
თუ სივრცეს ვერ ერწყმი ერთგულად
სულეთი ბაცდება.

სანწყობო

შეაძრა ტბორები ავდრებით
დაღარულ ცის თაღებს;
სამოთხის კარებთან შევჩერდი,
ხელი ვერ შევახე.

მეწადა, მამული მენახა
ქარვისფერ ვენახად;
ვეცადე, ვარდების გვირგვინი
დამეწნა ხელახლა...

ლუკუმში კვლავ ვანთებ ჩირაღდანს,
თავს არ ვთვლი ყარიბად;
ამაო ვედრება, ლალადი
ზღვას ერთვის ტარიგად.

მცემს, თავზე მემსხვრევა გრიგალი,
ვით ბროლის ფიქალი...
ვეშვები ცხოვრების მორევში -
საწუთრო იქ არის!

საამოდ

ო, როგორ გიჟმაჟობს თვალები
მიწიურ ზმანებით,
შენეულ თაკარა დარების
მაალებს წამები.

რამეთუ სახატედ გიგულე,
ავსანთლე ვნებანი,
ამ ოხერ, დასაძლევ სირთულეს
ვაქერცლე ლებანი.

ავყევი ძიების მარულას,
ვისრუტე ბინული;
ვიცი, რომ საამოდ დამდუგავს
ეს ძ ი ლ ი ს პ ი რ უ ლ ი!

აზწანა

მობეზრდა გარემოს ყორნების
ავყია ყრანტალი;
მიმწუხრდნენ უმშვიდლო მცხოვრებნი
ტურების ტანტალით.

საკბილოს ძებნაში სულიერს
აუტყდა კანკალი...
საომრად წამომდგარ მუმიებს
ემსხვრევათ ფარ - ხმალი.

უხიავს გოლგოთის წინარე
გაუდის ზღართანი.
ავგწაპნა მქუხარე მდინარემ
ანწლების ნარნარი.

ფართაცვლა

გვერდს უვლის წამიერ განცხრომას
ზნეობის საუფლო,
ყარიბმა ვნებების დაცხრომას
სანთელი აუნთო.

მომლიმარ ნაძენარში შეიჭრა
კოცონის სილურჯე...
სასოთა მხილების ერთ ინჯრად
ბრიყვიც კი იყუჩებს.

ეამა ვენახის ცრემლები
აქორრილ ყოჩივარდს...
გაცრეცილ ფრთაცვლას ვეცლები
და შენსკენ მოვქრივარ!

შაშრა

სიმწრისგან ქვა - ქვაზე დანაყეს
მორჩილმა ბერებმა;
მოკვდავი შეადნა საწადელს
ლაჟღაჟა ფერებად.

ო, როგორ უმწეოდ ჩაღამდა,
იალა სანთელმა...
ჯაშუში გისოსებს ჩაბარდა
წარსულის საკვნესად.

შეაშრა ცრემლები გაზაფხულს
მომავლის თანხვედრად;
უბირი ბიძგებით გამჭვარტლულ
ღრუბლამდე აღწევდა.

უპნ უთსა

დამშეულ ზმანებით ბახალა
პირს აღებს ჩქარ - ჩქარა;
მზადდება საავდრო მაშხალა,
ნატბორი დამშრალა.

ყვავილებს მიაწყდა ფუტკარი,
ემწუთხა ჭრიჭინას...
გრძნეულმა ლატაკი მუშტარი
ქეჩოდან იფრინა.

არწივმა გულნაკლულ დახედა
შესუდრულ ჭიუხებს,
ფაფარი აეწნა სახედარს,
საცაა იქუხებს!...

ნაჯღაბნი

ო, ეს რა საოცრად მღერიან
ფრთოსანთა გუნდები;
ვიღაცას, სადღაც კვლავ ელიან
სურვილით უძღვებით.

კვლავ, ისევ სასოში რჩებიან
სიტყვები უთქმელი,
ძნელია, იპოვო ძნელია
მეტყველი გულწრფელი.

მგონია, შენამდე ვაფრინე
ფურცელი ნაჯღაბნი,
თუ სულის ღაღარი აღვივე -
ხვაშიადს დათანხმდი.

კურცხალი

ფიქრები ამდენი ფიქრები,
ნაგვემი სიზმრებით;
ღიან მწამს, მასთან რომ ვიქნები
ვნებით აღვივსები...

და მაინც შემბოჭა ზმანებამ,
ვბანაობ წუმპეში...
ეჰ, მიმძიმს იმისი გაგება,
ვით ვპოვო ნუგეში.

ეჰ, უნდა მოვსინჯო გრიგალი
თუ როგორ მაკვნესებს...
ცინცხალი საწყვილო კურცხალი
შეერწყა საწვეთელს.

პირ უპირა

ფრიალებს ნისლების ზეწარი,
ცისკრობს ცის დარაბა,
ყოყმანებს ნასხვისი მერცხალი,
ვერ შეკრა კამარა.

თითქოსდა მოსწყინდათ აივნებს
მტრედების ფუსფუსი...
საცაა, ჯაგარსაც აიღრენს
შემცბარი თუქსუსი.

არ შევდრკი, შენამდე მოვყვები
დაგეშილ ქარაშოტს...
ეჰ, კაცი იმითაც ცხონდები -
სინდისს თუ დარაჯობ!

შცხო ხმა

დამფრთხალი ქორბუდა ირმები
მიაწყდნენ ქარაფებს,
არც ისე გულმშვიდად მივყვები
ულრანის სანახებს.

დალლილი ტაიჭი ფრუტუნებს,
ახედა ბერმუხას,
აქ დამხვდურ, ღვარძლიან უკუნეთს
უცხო ხმა ემწუთხა.

შენილბულ კარდაკარ ხირიმზე
ციყვები ნავარდობს...
ეხ, ისევ საფრისკენ გვიბიბგებს
ღრუბელი საავდრო.

სადა ხარ

იელვა, იმედის სხივია,
თუ ბინდის ლამპარი?...
რასა ვიქმთ, თუ მაინც ჩივიან
ვნებანი ჩამქრალნი!

მოარულს თან დამდევს ნალველი,
დაგეძებ დღედაღამ...
და რადგან ვერ ვპოვე მნახველი -
ვით გპოვო ხელახლა.

უდაბნოს ტრამალი ტორტმანებს,
არ უჩანს ცას კიდე;
ტალღბი უაზროდ მატარებს,
აფრები გავკიდე.

ვკანკალებ, უფსკრულში ვკიდივარ
ჩაძირულ კიდობანს...
სად დარჩი, სადა ხარ, მივდივარ -
გავურბი ფლიდობას!

შპნ ყუროია

გულ - ღვიძლი აეწვა ღვარცოფებს
უფკრულის ძგიდესთან;
უსასო კივილი აშფოთებთ
ზენაარ ნიმფებსაც.

ჩარეცხა, ჩალეკა სტიქიამ
გორები თავთავთა...
ნიღბებს კვლავ თამამად იცვლიან,
როს შფოთი ჩათავდა.

გამარჯვდა მრუდ - მრუდე თითები,
გონება გალიგვდა...
მითები, გვწყურია მითები,
რომ ვიშვათ თავიდან!

ხორხორცი

ზოგჯერ ის, რაიც რომ მადლია
გვბოჭავს და გვაწამებს
ვერარა ბრღვიალა მანტია
ვერ შეცვლის ამ წამებს!

დასჭექა ნაპირმა იხვების
ავყია ხორხორცი;
ამ ბულში, როგორღა მიხვდები
ვინ როგორ მოცოხნის...

და მაინც აგორღა სტიქია,
ისხლიტა ისრებად.
ჭალაში კვიცები იცდიან –
მარულა იწყება.

მრავალი უკვალოდ ეცემა,
ფინიშის ბოლომდე;
სახელიც კი აღარ შერჩებათ
ბევრ ჭკუის კოლოფებს!

ნაბჟირდა

შესტირის ნაზამთრი შროშანი
ნატყვიარ აივნებს;
ძაძებში ჩამცხვარი კოშმარი
თვალს ძნელად აიხელს.

ჩაბჟირდა ხავხავა ღრუბელი,
აეწვა ქუთუთო...
სადლაა ღაღადი სულგრძელი,
უმწიკვლო, უმუხთლო.

ჭიატებს გოდოლის სარკმელი
ნაძრახის გაღალმა...
კვალდაკვალ ნაკურთხი საკმევლის
სურნელი აკმაზდა!

ისრუტა

იყურა, პირფერის სიაფთორემ
სიქველის შემყურემ;
ობოლი ნამჯას ძლივს მიათრევს,
დასტვინა ბელურებს.

ქვემძრომთა გნისი გამოკრთა,
ისრუტა ღუნიათ;
დაბნეულს, შემცბარს და სამოდღვრავს
კენკრებსაც უთვლიან.

გაჭირდა საჭრეთლის გარანდვა,
შეყოვნდა მარჯვენა...
ჯიხვის რქა ასწია თამაღამ -
ბახუსის სახედნად.

მოგვმალე

რაოდენ კეკლუცობს კერპების
ნაწრთობი მშვენება;
აცმუკდა, დაზაფრულ გენების
გზის შემოთენება.

დაეტყო ქაფიან ნაპირებს
ზაგარის მადანი...
ო, ამ პილწ, პირღია თახსირებს
გაუდის ზღართანი.

ა, მაინც მხრებზე არ ეცემა
ორპირი აფყია...
უფალო, მოგვმადლე შეგნება
განსაჯელ ქართიად!

უპოვებელი

ო, როგორ სწყურია მკურნალი
ლოგინად ჩავარდნილს...
იმგვარად ააღდა ბუნარი
ჭერს ხინჯებს აკაწრის.

რაოდენ გამძაფრდა მოთხოვნა
თვითმავალ ყავარჯნის...
გადიქცა თვინიერ ოხრობად
პეწი და ჯავარი.

ეჰ, მაინც შევტოპე ზვირთების
მქუხარე ღვარცოფში,
რამეთუ, მძვინვარებს ფიქრების
განვრცობის ტატნობი.

მიჩქალეს

მაჟროლებს მომაკვდავ საგნების
უმწეო ღნავილი;
საცაა ვულკანებს ჩავცდები -
ხურჯინით დაცლილით.

მივენდე ქარბუქის სიჩქარეს,
ცახცახებს ცანკვილი.
დევებმა გრაალი მიჩქალეს,
ზარნაშო გაჰკივის.

ვერ ავცდი შერაცხულ გარემოს,
ჩამქოლა სიხარბემ;
აკორდი მაინც არ დამეხშო,
კვლავ ასე ვიფხავლებ!

არ მინდა ნაადრევ ჩამოვრჩე...

ოჰ, რარიგ ჩატოპა სიწუწუკემ
ჩაგრეხილ ჯურღმულში...
კალოზე დროდადრო იხუვლებს
ბრიყვების ურმული.

ნისლების წინარე გამოკრთა
ნიღბების ფრიალი;
წკვარამის სიშმორე აფორდა,
ეს ოხერტიალი.

არ მინდა, ნაადრევ ჩამოვრჩე
ქარავნის დინებას...
უფალმა, მიწიერ სამოთხედ
დარანი ინება.

ჩაღამდა

გაწბილდა, დაედო სიფითრე
მოარულს კარდაკარ...
სისხამზე, რომ ვედარ ვიფხიზლეთ
სულეთში ჩაღამდა.

მოედო ხავსი და ბარდები
ნასისხლარ ტერასებს;
დროულად ავანთოთ კანდელი,
ვიგემოთ ზედაშე.

უფალმა, შეგვმატოს მხნეობა
ზეობის საწინდრად;
ფერიამ გათელილ ხეობას
ცრემლები დასწმინდა.

სათჳო

ვფართხალებ, ვით ბარტყი ობოლი,
დაღლილი, ფრთამრუდე;
ვერ ვპოვე ზღაპრული გოდოლი,
რომ განდო საუნჯე.

ფერების ურთულეს ჭიდილში
ბრღღვიალებს სამყარო;
ვცდილობ, რომ უაზრო ფინიშთან
ნაბჯი დაგთვალო...

იმედის მაშხალად ვერ ვსახე
სათუო მიზანი;
ბოროტის განზრახვას ვერ ვამხელ,
მტერი ვერ ვიცანი.

განახლდა თამაში საზარი,
გაღვივდა ხანძარი,
სიტყვათა მორჩილი ლაშქარი
საომრად დავძარი.

არ უელზა

როდესაც ემწუთხა ბაასი
გაშიფრულ რენეგატს,
იფრქვევა აზრები ხალასი -
იშვიათ ფერებად.

რადგანაც ცარიელ სიტყვების
არ შედგა მარულა,
თანდათან სისხლისგან ვიცლებით
უსასრულ სასრულად.

ხო, ჟამი ქარიშხლის სადარი,
არ არის ზღაპარი,
ხვალ უნდა აენთოს ცარგვალი -
ჩაფერფლოს ავთვალი.

ნაიქცა

დახტის და ცხვირს გვერდზე იბზუებს
უბირი კალია,
შეერწყა ამ ყოფით სირთულეს
მწერების არია.

ვინ როგორ, შეიგრძნო თვისივე
დღემოკლე ვაება...
ტურა კი კარგახანს იკივლებს
წყვდიადის თავდებად.

მხოლოდლა თვალებით ნავარდობს
მიხრწნილი არწივი...
მოკვდავი აქუჩებს დანაზოგს,
ჩაიქცა გზაწვრილი.

ჭაპანი

ო, როგორ უტიფრად დაგვცქერის
ცალთვალა კოშკურა...
ცანცქარებს ღრუბლების საცერი,
გარსკვლავიც მოცურდა.

ოსტატმა შემართა მაშხალა,
ფერებმა დაკვესა...
მეთევზემ ბადია გაშალა -
საცდურის საცეცად.

ყარიბმა თითქოსდა ივარგა -
ჭაპანი განასკვა...
ჟამთასვლა სათუთად ინახავს
ნატყვიარ ფარაჯას.

ყაბჯრო

ოცნების არარა საფირი,
ვერარა იმედი,
შენეულ ხვაშიადს დავტირი,
კენკელა სიმებით.

რა მოხდა, ასე რამ შეგცვალა,
არც არა ისმინე?!...
მიმაჩნდი უნეტარ მზექალად,
ვლოცავდი სიწმინდეს.

იფეთქა მიწიერ თაკარამ,
შეგბოჭა, შეგბოლა;
მამხედრებს, ცდუნების ნაღარა
უაბჯრო მებრძოლად!

დაფდაფი

დაეშვა ქარაფის ქვემოთ
გრძნეული კენტავრი;
თითქოსდა მონუსხულ მეომრებს
შეასხეს ქერძაფი.

რამეთუ, ელიან შეძახილს
თვალხილულ ზმანებად,
განგაშის დაფდაფი ესწრაფვის
მზის ატორტმანებას.

ძნელია ცხონდარში დარჩენა,
ვინ როგორ შენატრის?!...
გამოკრთა, მომხვდურის მარჯვენა
თივთიკა კელაპტრით.

ღრთჳლი

მომძლავრდნენ დაისის ტალღები,
აჟრჟოლებს მეზადურს...
იმდენად ჩაფითრდა ღაწვები -
დაეტყო წყენა გულს.

რადგანაც სინაზე იმარჯვებს
შენეულ განცდისა,
განწყობა, სინდისის წინაშე
დამოდღვრავს საფიცარს.

შეგნება, ფებს მყარად იკიდებს
მოსილულ ნაპირზე,
ნატანჯი, დროული სიფხიზლე
მზაკვარსაც აკვირვებს.

ნამორჩა

მშენიერად მოირგო მაცდურმა
საცქმუტი ნიღაბი...
ყარიბი პირმოთნის სამდურავს
ბუტბუტებს პირდაპირ.

რადგანაც ყოველთვის სტკიოდა
სიმები სიფრთხილეს,
აისის არწულ სიოდან
ჩოჩქოლი ვიხილეთ.

ქარქაშში ხანჯალი ცანცქარებს
შემართულ ხელითა...
ჩამორჩა წინაპრის ნაკვალევს
დამფრთხალი ელიტა.

აჟრა

უღელში გაფიქდნენ მოზგრები,
იგემეს შოლტები...
ვჯახირობთ, სანამ ვართ ცოცხლები -
ბოღმებად ვფორდებით.

რატომღაც, ველარა ვიცილებთ
ქედმაღლურ სტიქიას,
თანხვედრი სცენარის სიბილწე
ჩამპალი ჩიხია.

ეჰ, თუკი ნებიერ ჩამითრევს
მიმნდობი თვალები,
აურა არ უნდა განივთდეს
სულიერ ზმანების.

ერთი მუშტად

ოდითგან გაისმის ღაღადი
ერთ მუშტად შეკვრისა,
არადა, ღვარძლს რომ ვერ გმაღავდით -
განგებამ შეგვხისტა...

კასკასა მომავლის საწინდრად
ვიწამოთ მოყვასის;
უფალი, რადგან არ გაგვწირავს
ციცქნდება ოღრაში.

აშფოთებთ უკუნის ჯურღმულებს
ერთობის ღაღანი...
ცოდვისგან დაბლილულ კოშკურებს
დასცვივათ ფარ - ხმალი.

ბჟრჟსო

აცივდა, ცახცახებს ყაყაჩო,
გაფითრდა პირიმზე;
დაღამდა, შევცბუნდი ზარნაშოს
შემზარავ კივილზე.

თუ სწორად ავხსენი სიზმარი
დღეს ველი ჯავრიანს;
აშფოთდა, აყეფდა გრიგალი -
ეს გლოვის ზარია,

განგების განზრახვა ასრულდა,
წვიმს და წვიმს დღედაღამ,
ღრუბელთა ამგვარი მარულა
აროდეს მენახა.

მაჟრჟოლებს, ფარფაშებს ბურუსი,
თვალს ვხუჭავ ცრემლიანს;
ამ ღვარცოფს თუ ისევ გადვურჩი -
ცის კართან მელიან.

თორემ

ნაბიჯსაც კი ვედარ ვზომავდი
ბურუსში ჩაფლული...
ო, რარიგ აშფოთდა ქოფაკი,
დაძრწის და დაყმუის.

მოაწყდა ლტოლვილთა ბანაკი
ჩახერგილ შარაგზებს...
მამულო, მტრის ჯიბრზე გამაგრდი,
შვილები დარაზმე!

თორემ ჰა, გალიგვდა კერია,
დაყვითლდა სამკალი...
სულები ოსანას მღერიან,
მობლუის ზამთარი.

ნათავრდა

სიამე წუთიერ ჩქამების
ცეცხლად და მდუღარედ...
ოი ეს, რა ქსელში გაგები,
ღვარცოფი მქუხარებს.

რას ვიზამ, შემკერა ცდუნების
ავყია სიქველემ...
ტლაპოში ხელს მშვიდად ვურევდი,
ამფსონებს ვიფერებ.

ბოლომდე ვერ შევძლებ, ამგვარად
ვარწიო ჰამაკი...
სისხლის და ჯვრის ფასად ჩამთავრდა
უზნეო არაკი.

არ ფასობს

ნახევრად გაიღო ევროპის
ცანცქარა სარკმელი...
კოსმიურ თანხვედრას ვჩემობდით -
ნაბიჯით სარკვევით.

არადა, არ ვიცით რას ვეძებთ
ბალაგნის ნანგრევში...
გონების დახვეწილ საცეცებს
ჩაღრებში ვახვევდით.

იშფოთა, იმძლავრა ჩორიკის
წუმპეში ფართხალმა...
არ ფასობს, ვინ როგორ მოიმკის
ნასხვისარ ჩალხანას.

პით უპსუნჯი

შეყოვნდა გზამკვლევის ციალი
დეღამამ რომ ითქემა,
ღრუბლებმა ორმხრივად ტრიალში
სასეტყვოდ იხრემა.

აჩქარდა ბორკილის ჯანჯღარი
ქარაფის წინარე...
იფხრიწა ტალღების თავშალი
შავტუხა მდინარემ.

ეჰ, დროზე თუ აღარ ინათა
მაშხალამ აისად,
ვით შევხვდეთ, იმ ლომგულ წინაპართ
ჩანაცრულ გაისად!

უფალო, მოგვმადლე მარადჟამს
მეობის ზეობა...
ოცნების რიჟრაჟი აქნარდა
იშვიათ სერობად.

სინჯული

შებინდა, რა გვიან ვიგრძენი
ფრთამალი ჰანგები,
მგონია, ძაფია სიზმრების
რაკუსის თანხვედრი.

იშვიათ ჯავარმა გაბადრა
სიწორფელე ღაწვების...
შენეულ ცრემლებმა ჩაფარცხა
კალამი საწები.

ჯერ კიდევ არ არის თავთუხი
სიმწიფის ზენიტში...
მტაცებელს ღანცალს ვერ დაგუშლით
ჩახლეჩილ გენის ხმით.

თაჳნება

როს შიშის შეგრძნება იელგებს
ჩახვეწავს განწყობას...
ტალახში ფართხალებს სიბეცე
წკვარამის საცნობად.

როცა მსწრაფლ აენტო გონება
მიიწვა ბგერანი...
მიწიერ შენიღბულ ცხოვრებას
ვერ ასცდა ვერავინ.

თანდათან აშტერა მოკვდავი
თავნება ზმანებამ...
მიბჟირდა წყვდიაღში მბორგავი
ცთომილის ვაება.

ლილიონი

ეზოში გაბმულად გაისმა
ფინიას წკავ - წკავი,
სარკმელთან განასკვა აისმა
ფაფუკი ნაწნავი.

მზე სხივებს გვაშუქებს მაღლიანს,
დაჰქრიან გვრიტები,
ოთახში გოგმანის კადრია,
სიტურფით ვივსები.

გამოდი, ძვირფასო, გამოდი,
გულს გული მიეზას,
გველიან წალმები სამოთხის -
სათრთოლუ მთიეზად.

აუნჯა

ო, როგორ აეწვა განთიადს
მგლის ხროვის ყმუილი...
უფსკრულში გვედებოს ჩაცლიან
სარკაზმულ შხუილით.

სეტყვამ, რომ ჩაცხრილა ვერხვები
მიფინა ყაყაჩო...
სულიერ ნაბადში ვეხვევი
ქარიშხლის სასაზღვროდ.

დროზე თუ მინელდა ქარიო -
ბუნების მწყემსავი,
ჩაკაზმავს გაბადრულ ალიონს
ნისლების ზეწარი.

ჟიჟიზნი

წკარამის ზეგარდმო ფრიალებს
ცოდვების სუდარა...
ყამირებს დაკოჟრილ იარებს
ღვარცოფი უღარავს.

დაწყველილ კოშმარის სიმძაფრე
დაეტყო სახეებს,
დაგესლილ ბგერების სიბარტყე
განწყობას ატყვევებს.

სატანის დამქაშებს ღრუბლები
ტურტლიან ფეხს ბანენ;
მისტიურ სურნელით უძღებნი
ვულკანთან შეხამდნენ.

აზიცილა

შორეთის ვარსკვლავი მიღიმის
იმიერ დარანად,
არ მინდა დავნებდე სიკვდილის
ფარფალა ფარვანას.

ადგილზე დანდგარი არ კმარა,
ხვაშიადს ვემდური...
რადგანაც დულს სისხლი ანკარა
იხუვლებს მხედრული.

იკვესებს წკრიალა ფანდური,
სულეთი ხვავედება,
აფიცხდა საჯიშე დავლური
მომავლის აფრებად!

აბორგდა

დუმილი, როდესაც განივთდა
ვერ ზეობს განწყობა;
ცრემლები გამოკრთა ხატიდან
ღვთის მრწამსის საცნობად.

ო, როგორ აბორგდა მილეთი,
ვინ ყბედობს, კაპასობს,
ვინ ქვეყნის მამობას იკვეხნის,
ვინ ჯილდოს გვთავაზობს.

ბელივით ბეჩოში ჩაბლურძდა
გარეშის შემყურე...
ნიავი მოცარულ ტაშს უკრავს
ნაღვლიან ბელურებს.

ნაჭლევი

შემორჩა სამრეკლოს გუმბათზე
ქარიშხლის ნაჭდევი;
კვარლცხბეკის კიბესთან ცრემლს ვაფრქვევ
ვარამით ნაგვემი.

გვლოცავს და ნაკურთხ წყალს გვაპკურებს
სპეტაკი მოძღვარი...
მრევლის სულს აჩნდება წარუშლელ
სიკვდილის კოშმარი.

ლაბირინთს ათბობს და აშუქებს
ფრესკების ხატება...
მომავლის ბილიკებს გავყურებ,
თოვლი მთებს აღნება.

დასრულდა წირვა და ბოლომდე
ჩამოდნა კანდელი...
დააფრთხობს გესლიან ობობებს
ქარიშხლის ნაჭდევი.

თაჰს ღანროს

მომრავლდეს თვინიერ ნაფერი
ღვთიური ღაღადი,
ჩაცხრება ღიაფი სხვაფერი
სულიერ დაღმართის.

მოკვდავო, თუ გულში ჩაირჩენ
საწადელ ხვაშიადს,
ოცნების შევერცხლილ ხალიჩებს
უშენოდ გაშლიან.

არ შედრკე, ხომ მაინც ხმაურობ
რალაცის ჯინაზე,
თავს დახრის, სალახვრო საუბნო
სინდისის წინაშე.

სახალი

მეზმანა ნაკურთხი სულების
ზეციურ ღაღადი,
მითრევედა ტალღები ცდუნების
ცეცხლოვან აღმართში.

ვაი, თუ განივთდეს მყოფადის
სიცხადის სახადი...
ეჰ, რარიგ ამოდ ვშფოთავდი,
ჩავცომდი, ჩავფლავდი.

ერთ ყამირს როგორმე გავკვალავ -
საფლავის გათხრამდი...
დაღმართმა თავდახრით მატარა
უფანჯრო სახლამდი.

ღამტუქსა

ჩამთვლიმა, სალოცავ ნანგრევთან,
მთვარე თვალს აცეცებს,
ღრუბელი ადგილზე გახევდა,
ბუ ციციქნის ნამცეცებს.

ღამტუქსა უკუნის წუთიერ
ნათების ფიგურამ,
რამეთუ, საწუთროს ვუთრიე
ბნელეთი ხილულად.

ჩავყუჩდი, რიყის ქვის კუთხეში
სიზმრებში ჩამცხვარი,
ფერიამ ჩამისვა უბეში -
ფარფლების ცანცქარით.

მივანდე

ეჰ, რარიგ ძნელია შენდობის
წინასწარ განსაზღვრა...
ხან ისეთ რამეზე ვერთობი
ხმის ექომ ჩამზაფრა!

თან როგორ შეფარვით ხითხითებს
მქროლავი აჩრდილი;
აკვნესდა განწყობა ნისლისფერ
ჩელტებში ჩაჩრილი.

ეხ, მაინც ქარაშოტს მივანდე
ცანცარა სიმაღლე...
არხილულ განკითხვის დილამდე
სულს ჯვარი მინათებს.

არ უნდა

თითქოსდა გაჯერდა ლაჭვარდი
სისხლიან დროშებით...
წარსულის ზნეობრივ დაღმართის
ბილიკებს ვშორდებით.

ვის აღარ შეზარავს სატურნის
თაკარა ქირქილი...
ქარცეცხლის ცის ცრემლით დამხვდური
მთვარის ლანდს მისტირის.

რამეთუ, არ უნდა ჩამოწვეს
ისეთი უკუნი -
ეშმა, რომ შავ ფარდას ჩამოსწვეს
ნაცადი წუწუნით.

ზერეულ

მაშვრალი, ვერ მივწვდი მწვერვალებს
შემცბარი ღიოფით,
ქარაფის ნაპრალი მთვლემარებს
ხავსების სიობით.

ეჰ, გულში სინანულს გაქსოვდი
ჩახვეულ მძივებად...
საწუთრომ უჯრედის სათრობი
ანცობა ინება.

რამეთუ, კვლავ ბეწვზე ჰკიდია
ცხოვრების აკილო,
ფერსაც მით ადვილად იცვლიან
თვალეზი სასხვისო!

შანაპროლი

ჩათვლიმა მთაწმინდის აჩრდილებს,
აცრემლდა მთიები,
წარსული არ უნდა გაწბილდეს
მომავლის გზირებით.

მესვეტეს ემძიმა ღრუბლების
ნაწუწი ნისლები,
უთქმელი სათქმელის უფლების
წინაშე ვფითრდები.

ფრიალებს ხვალინდელ ქელების
შავტუხა მანტია,
გზაწვრილში საერო ბერები
ხეს ტოტებს აჭრიან.

ჩაყურდა

სულეთის საუფლო გვახსენებს
შეწირულ ზვარაკებს,
ნიმფები ფიფქებში ახვევენ
საფერებ არაკებს.

გაისმა ფუტკრების ზუზუნი,
საამო, სავარდო,
ჩაყურდა უკუნის ზღუქუნი,
მერცხალი ნავარდობს.

ზეციურ მარულას ვესწრები,
ფიქრებით დავნაყრდი...
შემოდგენენ გორაზე მწყემსები -
ნამატივით ამაყნი.

ჟნოღზო

დაფოფხავს სნეული ღამურა
ჯურღმულში მკვნესარე...
ყარიბმა ბადაგი ჩაწურა,
აკვესებს კვესაბედს.

ჩაბჟირღა ღამეულ ზმანების
უნღლბო ღაზათი...
სიზმრების ბადეში გავები,
კენტავრებს ვკაზმავღი.

ღამისღა ავხადო სარქვეღი
ზესკნელის სარკოფავს...
იღება აისის სარკმელი
მისტიზმის სათმობად.

შეზავდეს

შეშვენით თამამი ნავარდი
ზეციურ სხეულებს...
ლმობიერ გუმანით ვნამავდი
გაფხორილ სხეულებს.

ო, რარიგ კოპწიად სრიალებს
ღვთიური მარხილი...
ეხ, ჭაპანს ზერელედ მივათრევ
ხერგილთან ჩაცლილი.

როგორმე იქნება შეზავდეს
ფირუზი ხმელეთთან,
შარაგზა ივარდებს შენამდე
ბრდღვიალა ფერებად.

წარსულის სსიპი

ვლოცულობ, ჯეჯილი ბიბინებს,
მივდივარ ლასლასით;
დამღალა სათქმელის სიმძიმემ,
დუმილთან დავზავდი.

რას ვხედავ, ვარგარებს ლაჟვარდი,
მეტეორს თავს ვუხრი...
გკანკალებ, მუხლებზე დავგარდი,
განშორდა ჟამს მწუხრი.

მოვკეთდი, ვიცი, რომ სულ ახლოს
ურჩხული ბინადრობს;
ჯანდაბას, ღვთის რისხვამ დალახვროს,
მწადია მივაგნო...

ბილიკის ქვემოთ ვიხილე
სულს დაფავს ავსული...
ტანჯული სიცოცხლის სიმკვირცხლე -
სხივია წარსულის !

სარჩევო

ნაკრები

ვერ ვიადვილე	3
რად უნდა	3
რადგან	4
ნარგიზები	4
ბრმა არჩევანი	5
უხერხულობა	6
ვერ აგიტაცა	7
ორმხრივი ეშხი	8
ისევ	9
დროა	9
ფარფატებს	10
სანამ უნდა	11
მიტოვებული ტაძარი	12
ღვთიური წვლილი	13
რადგან შეეხო	14
რით შევამყო	15
ვინაც	16
რისხვა	16
რად ვყარო	17
ისევ შემძრა	18

გინმობ -----	19
უნიათობა -----	20
ჯანყი -----	21
აღმობდა -----	22
მარადიული ტკივილი -----	23
არ დაამწუხრო -----	24
დუღს-----	25
მათრახი -----	26
გალავნის მიღმა-----	26
გაითავისე-----	27
კალო -----	28
დავძრწი -----	29
ეიფორია -----	30
მიჭირს -----	31
დიადემა -----	32
მოდა -----	33
ჭაპანი -----	34
წუწუნი -----	35
რაც რომ -----	36
ყიამეთი -----	37
მიახლოვება -----	38
პოეტები-----	39
გაიჯეჯილა-----	40
ნაოჭი -----	41

ლანდი	42
დილემა	43
ხვედრი	44
დროზე	45
სიტყვა	46
ისაქმოს	47
მსწრაფლ	48
ფუჭია	49
კაპრიზი	50
ლაფში	51
მაშინ	52
აჰა	53
კვლავ	54
თრთოლვა	55
ხვატი	56
ჩანაყა	57
ჰოი	58
ამაოდ	59
ცვენა	60
აშკარად	61
უნდა	62
კვამლი	63
ყვავის	64
იყვედრის	65

უებრო	66
საით	67
ცოტანი	68
მაინც	69
ყოველ წამს	70
ავგაროზი	71
რა არ იტანჯე	72
სახრე	73
ციფრები	74
საფარში	75
მოლზე	76
მეხი	77
ვით	78
ველარ	79
უმსგავსო	80
ობრავს	81
ვინ რას	82
ვითომ	83
აასპარეზებს	84
სწირავს	85
ღირსების მაღლი	86
ყოფითი	87

ჯვარიაძე

ექო	88
მივათრევ	89
ვერარა	90
როგორღა	91
ვით შევძლო	92
როს ველარ	93
ოდითგან	94
რაც ვერ	95
სიხარბე	96
არა	97
მეგონა	98
შეზღუდვა	99
საწუთრო	100
საამოდ	101
აგვწაპნა	102
ფერთაცვლა	103
შეაშრა	104
ემწუთხა	105
ნაჯღაბნი	106
კურცხალი	107
ვერ შეკრა	108
უცხო ხმა	109
სადა ხარ	110

გვწყურია -----	111
ხორხოცი -----	112
ჩაბჭირდა -----	113
ისრუტა -----	114
მოგვმადლე -----	115
შევტოპე -----	116
მიჩქმალეს -----	117
არ მინდა ნაადრევ ჩამოვრჩე... -----	118
ჩაღამდა -----	119
სათუო -----	120
არ შედგა -----	121
ჩაიქცა -----	122
ჭაპანი -----	123
უაბჯრო -----	124
ღაფღაფი -----	125
დროული -----	126
ჩამორჩა -----	127
აურა -----	128
ერთ მუშტად -----	129
ბურუსი -----	130
თორემ -----	131
ჩამთავრდა -----	132
არ ფასობს -----	133
ვით შევხვდეთ -----	134

სიწორფელე -----	135
თავნება -----	136
ლოდინი -----	137
აეწვა -----	138
უძლებნი -----	139
აფიცხდა -----	140
აბორგდა -----	141
ნაჭდევი -----	142
თავს დახრის -----	143
სახადი -----	144
დამტუქსა -----	145
მივანდე -----	146
არ უნდა -----	147
ზერელედ -----	148
გზაწვრილი -----	149
ჩაყუჩდა -----	150
უნიღბო -----	151
შეზავდეს -----	152
წარსულის სხივი -----	153



მზეო თვალჩატულო,
სულში ჩაქარგულო,
აზრო ჩასახულო,
ფრენად დარაჩტულო!
ჩემში მომრიალე,
ხეო მსხმოიარე,
რა არ მოვიარე,
ნისლი მოვიალე!
თვალეხს დავემონე,
მოვრწყე ნარგიზები,
თუ არ ჩავეკონე,
მართლა გავგიჟდები!

